



ძვირფასო ქალბატონებო, გილოცავთ დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებას, სიკეთითა და სიყვარულით სავსე ცხოვრებას!  
 პატივისცემით,  
**დავით დარჩია**  
 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

# ა ლ ი ო ნ ი

გურია უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან  
**საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.**  
 ყოველკვირეული გამოშვება. № 5 (10449) 9 მარტი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

## ტრადიციული სცენარი და რუსეთის ჰიპნი ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე



**გაეხილეთ ჰანუყვანების მარკები ბილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს! ჩვენთან ყველაფერი თქვენი ოჯახისთვის მისაღებ ფასად! მისამართი: ჰანუყვანის ქ. №15**



**ალიონი.** 1 მარტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა ტრადიციულად ქცეული სცენარით დაიწყო. საკრებულოს დღის წესრიგის გამოცხადებისთანავე, ტელევიზიების კამერების წინ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა **თათია ნიკოლაშვილმა** საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული პროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, გააპროტესტა, რომელიც უცხოური გავლენის, ფინანსურ გამჭვირვალობას გულისხმობს და აცხადებენ რომ იგი ამერიკული ვერსიის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს. თბოზიცია კი ამტკიცებს, კანონი რუსული სულისკვეთებისაა და ნიკოლაშვილმა „ქართული ოცნების“ დეპუტატები რუსულ გავლენებში დაადანაშაულა. საპასუხოდ, ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატმა **ქეთი ზომერიკმა** თბოზიციას მიხეილ სააკაშვილის ვიდეო აჩვენა,

სადაც იგი რუსეთთან ურთიერთობებზე საუბრობს. ფეხზე მდგომმა თათია ნიკოლაშვილმა სხდომაზე რუსეთის ჰიპნი ჩართო და სიტყვიერი დაპირისპირების შემდეგ თანაპარტიელებთან ერთად საკრებულოს ხდომა დატოვა. ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებთან ერთად სხდომა დატოვეს ცენტრალური ტელევიზიის ჟურნალისტებმაც. სხდომის დასრულების შემდეგ რუსეთის ჰიპნის მოსმენის გამო, გაზეთ „ალიონთან“ თავისი გული-სტკივილი გამოთქვა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა **ნათია ლაფინიაძე**:  
 –სამწუხაროდ, დღევანდელი დღის განცდა, საკრებულოს სხდომაზე რუსეთის ჰიპნი, ეს იყო გარკვეული შეურაცყოფა, ძალადობა ჩემს პიროვნებაზე. ეს ჰიპნი ბოლოს 9 აპრილის შემდეგ რუსეთის ტელევიზიით, მოვისმინე და დღევანდელ სხდომაზე გვაიძულებს კვლავ მოგვესმინა ნაციონალური მოძრაობის მხრიდან გაუფრთხილებელი ჰიპნი. რუსეთის იმპერია ჩემთვის ასოცირდება ოკუპირებულ ტერიტორიებთან, 9 აპრილის ტრაგედიასთან, რომელსაც ძალიან დიდი დრო დასჭირდება რომ მოშუშდეს – გვითხრა ნათია ლაფინიაძე.  
 გაზეთ „ალიონთან“ კომენტარი ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მარი ჩხიკვიშვილმა**ც გააკეთა:  
 – ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურად გაკოტრებული ძალაა, რომლის დეპუტატები ყველა ხერხით ცდილობენ საკრებულოზე შექმნან ქაოსი, არეულობა. დღესაც უნიჭო პერფორმანსით შეეცადნენ საკრებულოს სხდომის ჩაშლას. ჩვენთვის შეურაცხყოფელია რუსული ჰიპნის მოსმება. ნაციონალურმა მოძრაობამ რუსულ ჰიპნს

### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
  - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
  - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
  - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
  - შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
  - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
  - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
  - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
  - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საჯალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა:**  
ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით - 16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანსწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაგვრდა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
რედაქციონი  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani15@gmail.com  
558 499100  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
gia\_77@mail.ru  
551 576060  
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი  
ოქმბათი ანიონზე  
**«ალიონი»**

## 22 წლის ჩონატაურელი ინჟინერი მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე ჩაირიცხა



სტენფორდის უნივერსიტეტმა წელს პირველად დაუშვა პრეცედენტი, აღნიშნულ პროგრამაზე მაგისტრის ხარისხის გარეშე დაუშვა სტუდენტი. **ნინო გიორგაძემ** 2022 წელს უმაღლესი აკადემიური მოსწრებით (Summa Cum Laude) დაამთავრა სან დიეგოს სახელწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიის ფაკულტეტი და მიიღო ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, წელს კი კალიფორნიაში სადოქტორო პროგრამაზე გააგრძელებს სწავლას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა ნინოზე მიღების პირველივე ეტაპზე შეაჩერა არჩევანი და, სრულ დაფინანსებასთან ერთად, მაქსიმალური გრანტი გამოუყო. სწავლის დამთავრებამდე ეს თანხა დაახლოებით 500 000 დოლარს შეადგენს. ჩონატაურელი სტუდენტი კალიფორნიაში სწავლას 2023 წლის სექტემბრიდან დაიწყებს და მისი კვლევის უშუალო მიმართულება განახლებადი ენერჯიები იქნება.

ჩონატაურის მუნიციპალიტეტის მერი **დავით შარაშიძე** ახალგაზრდა ინჟინერს პირადად შეხვდა და მიღწეული წარმატებისთვის მუნიციპალიტეტის მერიისგან ფულადი ჯილდო გადასცა. „ნინოს პირადად შეხვდით და მისგან მოვისმინე, რამდენად შრომატევადი პროცესი უძღოდა წინ სტენფორდის უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვას. ის ინჟინერიის დარგში უკვე სამი წელია მუშაობს და ჩვენთვის განსაკუთრებით საამაგოა, რომ თავის პროფესიულ ცოდნას ამჟამად გურიის რეგიონისთვის იყენებს, კერძოდ, „ბაზვი 1 ჰესისა“ და „ბაზვი 2 ჰესის“ პროექტებზე. ამასთან, ნინო დაგვიბრდა, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ, დაბრუნდება საქართველოში და დარწმუნებული ვარ, ღირსეულ წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის ენერჯოდამოუკიდებლობის მოპოვებაში.“ - განაცხადა ჩონატაურის მერმა დავით შარაშიძემ.

## ტრადიციული სცენარი და რუსეთის ჰიმნი ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე

გულზე ხელდადებული, ფეხზე წამოდგარი უსმინა, რადგან მათთვის მშობლიურია. სწორედ მათმა პარტიამ გადასცა რუსეთს საქართველოს სტრატეგიული ადგილები. ამას აღასტურებს 2008 წლის რეზოლუცია. რუსეთს - გაუფორმეს საქართველოს 20%-მდე ტერიტორია! რუსეთს ხელი მოუწერეს ომის დაწყებაზე და ომის დანაშაულზე! რუსეთს - მიყიდეს საქართველოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტები! რუსეთს - მხარი დაუჭირეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გასწვევრიანებლად მაშინ, როდესაც საქართველოს ხმა იყო გადამწყვეტი! რუსებს - პირადად ხვდებოდნენ ლარსის

საბაჟო გამშვებ პუნქტზე! რუსებისგან - იღებენ შემოსავალს, - ქირას თუ დაფინანსებას პირდაპირ ფედერალური ბიუჯეტდიანაც კი! ჩვენ არ გვყავს ოპოზიცია. ჩვენ გვყავს ადამიანების ჯგუფი, რომელთაც სასტიკად არ უყვართ სამშობლო. ზოგადად, სამშობლოს ცნება არ არსებობს მათთვის. არ ახარებთ არც ეკონომიკური ზრდა, არც ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და არც მშვიდობა. მათ ყველა ხერხით ეცადნენ საქართველო ომში ჩართულიყო. პოლიტიკურად გაკოტრებულ პარტიას უნიჭო პერფორმანსების ვარდა აღარაფერი დარჩენიათ. - გვითხრა მარი ჩხიკვიშვილმა

## უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამომიებო მოქმედებების შედეგად, თბილისისა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს და 10 პირი დააკავეს. გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი **გ.დ.** სამართალდამცველებმა

დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 3 ვაზნა ამოიღეს. დანაშაულები 3-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვის და ტარების ასევე, გასაღების ფაქტებზე გამოიძება მიმდინარეობს.

## გურიაში თხილის წარმოების ხელშეწყობისა და სუბსიდირების ახალი პროგრამის მიმდინარეობაზე ისაუბრეს



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე **გიორგი ხანიშვილი** გურიაში და აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ფერმერებს შეხვდა. შეხვედრაზე, თხილის წარმოების ხელშეწყობისა და სუბსიდირების ახალი პროგრამის მიმდინარეობაზე აძღვეს თხილის ბაღების მფლობელებს აგრო ბარათზე დარიცხული ქულებით შეიძინონ მცენარეთა მოვლის საშუალებები, რაც ხელს

შეუწყობს რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. შეხვედრას გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქეთევან მოისწრაფეშვილი**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი **ზაზა შავაძე**, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე **ნატალია ზარატიშვილი** დაესწრნენ.

## საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა დედებს მერიამ 300-300 ლარი გადასცა



საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა დედებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **თორნიკე ტიკაძემ**, საკრებულოს

თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძემ**, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე **ვერიკო კვიციანი** დედის დღე მიულოცეს. - ყველა ქალბატონს მინდა მიულოცო დედის დღე. განსაკუთრებით კი ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლების დედებს და მადლობა გადაუხადო მათ გმირი შვილების აღზრდისთვის - აღნიშნა თორნიკე ტიკაძემ. სამშობლოს დასაცავად დაღუპულთა დედებს მუნიციპალიტეტის მერიამ 300-300 ლარი პირადად ანგარიშზე ჩაურიცხა.

## ჩონატაურის მერი უხუცეს დედებს უსტუმრა



ჩონატაურის მერი **დავით შარაშიძე**, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უხუცეს დედებს ესტუმრა, დედის დღე პირადად მიულოცა და საჩუქრები გადასცა. - „დედებთან დღე ყველა დედის გუთუნის, ყველაზე მშვენიერ

ადამიანებს ამქვეყნად. მინდა, მოვილოცოთ, ვისურვოთ ბედნიერება, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა თქვენს შვილებთან, ოჯახებთან ერთად. მუდამ გქონოდათ სიხარულისა და დღესასწაულის განცდა, რომელიც გაზაფხულის პირველ დღეებს ახლავს თან.“ - აღნიშნა დავით შარაშიძემ.

# სოფელ ნაგომარში ნაპირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობს



**ალიონი.** თებერვლის შუა რიცხვებში, სოფელ ნაგომარში, მდინარე სუფსა საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის 35-ე კილომეტრზე საავტომობილო გზამდე მივიდა და საფრთხე შეუქმნა ცენტრალურ მაგისტრალზე ტრანსპორტის მოძრაობას. მოსალოდნელი საშიშროების გამო ჯერ „გზამშენი 18“, შემდეგ კი შპს „დიდი ტრანსი“ მდინარე სუფსაზე ნაპირსამაგრი სამუშაოებს შეუდგა. გაზეთმა „ალიონი“ გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოსთან“ ერთად სუფსის ხეობაში არსებული მდგომარეობა მონახულა. მძიმეწონიანი ექსკავატორები ძიძითის ხიდის სიახლოვიდან დაწყებული ბუკნარის გადასხვევიდან რამდენიმე ლოკაციაზე მუშაობენ. ჩვენ შპს „დიდი ტრანსი“ წარმომადგენელს გავესაუბრეთ, რომელმაც გვითხრა, რომ კომპანია მოსალოდნელი საშიშროებიდან გამომდინარე, ნაპირდაცვითი სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დაიწყო. თუ რამ გამოიწვია მდინარე სუფსის გზის სავალ ნაწილზე გადმოსვლა და საფრთხე შეექმნა ცენტრალურ

სავტომობილო მაგისტრალს, ამაზე გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებელს **ირმა გორდელაძეს** ვესაუბრეთ: — ის, რაც მოხდა სოფელ ნაგომარში, ამის მიზეზებია: წლების მანძილზე მდინარიდან უკონტროლოდ, ვანდალური ხერხებით წიაღის მოპოვება; მდინარისთვის კალაპოტის შეცვლა; ზოგიერთ ლოკაციაზე ზედმეტი ნატანის გაუტანლობა; უსისტემო გარემოსდაცვითმა ქმედებებმა. როცა რესპუბლიკური მნიშვნელობის საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის 35 კმ-ია სტიქიის ზონა, იქვე შორიანხლოს, უკვე რამდენიმე წელია, რამდენიმე ადგილას კვლავ გრძელდება ვანდალურად მდინარიდან წიაღის მოპოვება. სამწუხაროდ, შესაბამისი უწყებები არ და ვერ აკონტროლებს და არ ამოწმებს კარიერების გავლენას მდინარეზე — გვითხრა ირმა გორდელაძემ. **P.S.** როგორც ვვაცნობეს, სოფელ ნაგომარში გზის დამცავი ნაგებობის მშენებლობის ტენდერი შპს „სახარია“ მოიგო. სატენდარო თანხა 721295 ლარია.

# ფერმერები კვლავ შებენ თხილის ფართობების რეგისტრაციას

**ალიონი.** სოფელ ოზურგეთში, კულტურის ცენტრის შენობაში დასრულდა თხილის ბაღების რეგისტრაცია თხილის კადასტრში. აღნიშნულ შრომატევად სამუშაოს ერთობლივად აწარმოებდნენ ა (ა) იპ სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო და სურსათის ეროვნული სააგენტო. ჩვენ სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ჯგუფის უფროსს **გურამ ბაჯელიძეს** ვესაუბრეთ: — 2022 წლის ნოემბერში საქართველოში ამოქმედდა თხილის წარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც მცირე, ისე მსხვილი ფერმერული მეურნეობების დახმარებას. მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა ფერმერი, რომელიც ფლობს 0,2-დან 3 ჰა-მდე ფართობის თხილის პლანტაციას, 1 ჰა-ზე მთლიან სუბსიდიას 500 ლარის ოდენობით. მთხილე ფერმერებს ფინანსური დახმარების მისაღებად 2022 წლის 7 ნოემბრიდან 2023 წლის 31 იანვრამდე უნდა მოეხდინათ თხილის ბაღების რეგისტრაცია თხილის კადასტრში. მოგვიანებით ვადა ჯერ 17 თებერვლამდე, შემდეგ 28 თებერვლამდე გააგრძელდა. ჩვენ სამი თვის განმავლობაში შემუშაობდით მუნიციპალიტეტის ტერ-



იტორიულ ერთეულებში, შემდეგ კი კონკრეტულ ლოკაციაზე და რამდენიმე ათას ფერმერს მოვექმნა-ხურეთ. ხალხის ნაკადი ყოველდღიურად დიდი იყო. პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შედგენილ თხილის კადასტრში მოცემულია ინფორმაცია, თუ რა ფართობის თხილის პლანტაციებს ფლობენ კერძო და იურიდიული პირები, ასევე ინფორმაცია თხილის ჯიშების შესახებ, რაც შემდგომში უწყებას შესაძლებლობას მისცემს, ჩატაროს ანალიზი და დარგის მხარდაჭერისთვის გაატაროს შესაბამისი ღონისძიებებიც — გვითხრა გურამ

ბაჯელიძემ. როგორც გავიკეთ, ფერმერები კვლავ შეძლებენ თხილის ფართობების რეგისტრაციას, რისთვისაც ისინი სოფლის მეურნეობის სააგენტოს ადგილობრივ წარმომადგენლობას მიაკითხავენ. ეს პროცესი 28 აპრილამდე გაგრძელდება. პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები სუბსიდიას **Liberty Bank**-ის აგრობარათზე შესაბამისი ქულების დარიცხვით მიიღებენ. ქულების დარიცხვა დაიწყება 2023 წლის გაზაფხულზე. სპეციალიზებულ აგრომალაზიებში დარიცხული ქულების გამოყენების ბოლო ვადაა 2023 წლის 31 აგვისტო.

# ჯერ კორტუგალიაში, შემდეგ ინდოეთში

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის ძალიან სასიხარულო მორიგი სიახლეები ოზურგეთის თეატრის დირექტორმა ზაზა ჯინჭარაძემ გავაცანო. **ოქსუბრში თეატრის სამხატვრო კამპანიაში მანსილი ჩიგოზიძემ და რამში-სორი ელენე მაცხონაშვილი კორტუგალიაში, ძალაძ ბარბაში ბაიმბაშვილი-ნაძე** უდიდესი ქრისტიანული კულტურის უძველესი ქალაქის თეატრის სცენაზე ისინი რეჟისორ ელენე

მაცხონაშვილის საავტორო სპექტაკლს „ცის კარს“ დადგამენ, რომლის პრემიერა 7 აპრილს გაიმართება. ვასილ ჩიგოვიძეს პორტუგალიიდან მალე უწყვეს დაბრუნება, რათა ინდოეთში ქართული თეატრის კვირეულში მონაწილეობის მისაღებად. **რომში ზაზა ჯინჭარაძემ** გვითხრა, ოქსუბრში სხსემდოფო თეატრი ინდოეთში 11 მარტს ბაიმბაშვილი, ლაშა თაბაძის „ღმადრომს“ წარადგინებენ (რამში-სორი

საბა ასლამაშვილი). მათთან ერთად ინდოეთში მიემგზავრებიან ცხინვალის თეატრი („გალაფანი“, გონა კაპანაძის დადგმა), თავისუფალი თეატრი და თეატრი ათონელზე. **„ღმადრომში“ ოთხი მსახიობი : თამარ მდინარაძე, შორენა გვეტაძე, ციცი ბუცხრიკიძე და ნიკა მნელაძე** არიან დაკავებულნი. სპექტაკლები ინდოეთში უტას პრაშელის შტაბის ქალაქ აგრაში და **ჯაკურში** გაიმართება. წარმატებებს ვუსურვებთ ოზურგეთის თეატრს.

# წელს სოფელ შრომაში გეგმიური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება



**ალიონი.** სოფელი შრომა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტერიტორიული ერთეულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, რომელშიც შედის ცალკეული სოფლები: ვაკე, ზედუბანი, მოცენარი, ორმეთი, ხრიალეთი. ოსოჯურში, ბულთას გორაზე, არის ქვით ნაგები, ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრისა და დაცხე-გალაფანის ნარჩენები, რომელიც V-VI საუკუნეებით თარიღდება. გადმოცემის მიხედვით ამ ადგილზე ჯვარი აღუმართავს ანდრია პირველწოდებულს. 1892 წელს გრიგოლ გურიელის დაფინანსებით ააშენეს ხის ახალი ეკლესია, რომელიც იმავე წლის 5 დეკემბერს დაწვეს. შემდეგ კვლავ ააშენეს ახალი ხის ეკლესია,

რომელიც გასული საუკუნის 20-იან წლებში კვლავ გადაწვეს. 2008 წელს აქ ანდრია პირველწოდებულის სახელობის ახალი ტაძარი ააგეს. ხრიალეთში, მდინარე ხრიალეთურას პირას მიქელ გაბრიელის სახელობის ეკლესია აგებულია. იოანე ნათლისცემელის სახელობის ტაძარი ააგეს ორმეთში. მოცენარში კი დიმიტრი თესლონიკელის სახელობის ტაძარს ააგებენ. ხრიალეთში 600-მდე კომლი ცხოვრობს, 1500 ადამიანზე მეტი. აქ არის საჯარო სკოლა, საბავშვო ბაღი. ხრიალეთში კომპანია „ნიუ კომუნალ სერვისი“ წყლის მაგისტრალს აშენებს. ნაგურაში უკვე აგებულია 150 ტონა ტევადობის წყლის

შემკრები აუზი, ხოლო წყლის სატუმბო სადგური მდინარე ხრიალეთურას პირას მდებარეობს. — თავად ხელაძე როგორი მთავორიანია შრომის თემის ეს სოფელი. ეს პროექტი 137 ოჯახზეა გათვლილი და დამთავრების სტადია. ამჟამად მშენებლები წყლის შემკრები აუზის შემოწმებას ახდენენ. წყლის დაქსელვაც დასრულებულია და ყველა ოჯახის ჰიშკართანაა იგი მიყვანილი. ამ პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფომ 800 000 ლარი გამოყო — გვითხრა სოფელ შრომის მაჟორიტარმა დეპუტატმა **დავით ჭაკელიძემ**. ახალი ქსელის აგების შესახებ თავისი სამაგისტრო სიტყვები არ დაიმურა **მარინა ორმოცაძემ**: — ამაზე კარგი რა უნდა გაეკეთებინათ. შრომაში მუდამ იყო წყლის პრობლემა, ახლა ჩვენს უბანში მოგვარდა. კი მაქვს ჭა ეზოში, მაგრამ რა სჯობს წყლის მილით მიღებას. სამზარეულოში შევიყვანო. ისე, ხრიალეთში საბავშვო ბაღი უნდა აშენდეს. ძალიან გვიხარია, სკოლა და ბაღი ერთ შენობაში აღარ იქნება. — დიდი სოფელია და ბევრი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი. ბევრი რამ ვაკეთდა და წელსაც რამდენიმე პროექტი განხორციელდება.

საბავშვო ბაღი ვაკეშიც აიგება. სოფელ ორმეთში კი მდინარე ოჩონჩინაზე 14 მეტრი სიგრძის ბეტონის კაპიტალური ხიდი. ხრიალეთში ნანი გურგენიძის სახლის წინ მეწყერი ჩამოწვა. შპს „გზამშენი“ უკვე დაასრულა გაბიონის მშენებლობა. თავად ხელაძე შესრულებული სამუშაოს კარგ ხარისხს. კიდევ ერთ მეწყერულ ადგილას კეთდება გაბიონი. წლებია პრობლემატურია სოფელ კონჭკათის ცენტრიდან სოფელ ორმეთის დამაკავშირებელი 7 კილომეტრამდე სიგრძის შიდა სასოფლო გზა, რომლის რეაბილიტაციისთვის წელს სახელმწიფო 5,35 მილიონ

ლარს გამოყოფს: ასევე მნიშვნელოვანია სოფელ შრომაში ვაკისა და ზედუბნის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია (ზედუბანი — 1146 მ. ვაკე — 3 021 მ.) რაზედაც 3 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. სულ ცენტრალური დაფინანსებით 11 კმ. გზის რეაბილიტაცია მოხდება და 8 მილიონ 380 ათასი ლარი დაიხარჯება. ამას დაუმატეთ სოფლის პროგრამით გათვალისწინებული ბეტონის გზები და საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წინსვლა გვექნება — გვითხრა ოზურგეთის მერის წარმომადგენელმა შრომის ტერიტორიულ ერთეულში **ვეფხია სუხიაშვილმა**.



წყალსატენი სადგური მდ. ხრიალეთურასთან

# „უსაფრთხო გარემო ზოგჯერ უსაქმებელია კალაღობის კერაც გახდეს“

## ინტერვიუ კლემ-ის გურიის რეგიონალური კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბერიძესთან



— ეს საკითხი არ ახალა, მაგრამ, მინც, რა არის ოჯახური ძალადობა?  
 — სიტყვა „ოჯახი“ ჩვეულებრივ უსაფრთხო ნაცხოვრების ცნებასთან ასოცირდება, რომელიც გვიცავს გარეშე საფრთხეებისგან.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს უსაფრთხო გარემო ზოგჯერ ძალადობის კერაც შეიძლება გახდეს, რატომ? დედასტურებულია, რომ მოძალადეებმა სწორედ ის ადამიანები გვევლინებიან, რომელთაც ადრეულ ასაკში ოჯახში განიცადეს ძალადობა, ან იფრენ ძალადობის „მოწმეები“ და შესაძლებელია, მსხვერპლებიც. ოჯახური ძალადობა არის განმეორებადი და ხშირი ციკლი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური შეურაცხყოფის, ან ვგულებდებოდა, რომელსაც ოჯახის ერთი წევრი ახორციელებს მეორეს მიმართ, მასზე კონტროლის და ძალაუფლების მოპოვების მიზნით. **კვლევების შედეგად დადგინდა, რომ შემთხვევითაა 95%-ში ძალადობის მსხვერპლი არის ქალი.** ოჯახური ძალადობის საფუძველი გენდრული სტერეოტიპების არსებობაა.

— ქალთა უფლებების შესახებ ინფორმაციას მოსახლეობა

გარკვეულია უკვე ფლობს, მაგრამ ძალადობის შემთხვევები და მათ შორის, ფემციდის, სამწუხაროდ მზარდია, როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ეს?  
 — დას, გეთანხმებით, სამწუხაროდ, ფემციდის სტატისტიკა მაღალია. საქართველოს პროკურატურის მონაცემებით 2014 - 2022 წლებში ოჯახური დანაშაულის წილი ქალთა მკვლელობებში /ან ქალთა მკვლელობის მცდელობებში ასეთია: 186 ( მკვლელობა) 129 ( მკვლელობის მცდელობა). ამას აქვს ახსნა — ქალებმა დაიწყეს ბრძოლა საკუთარი უფლებებისთვის, დაარღვიეს სტერეოტიპები, გახდნენ რეალიზებული, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ქალის ემანსიპაცია დადებითად შეაფასა, მაგრამ ძალადობრივ გარემოში გაზრდილი მამაკაცებისთვის მოუღებელი გახდა „დეკორატიული“ მეუღლე და რაკი მისი დამორჩილება ვერ მოახერხა, უკიდურეს ხერხს

მიმართა. გამონაკლისი არც ვერაა, სამწუხაროდ, გასული წლის აგვისტოში ოზურგეთში მამაკაცმა მოკლა ყოფილი მეუღლე. სისხლის სამართლის კოდექსის 109 მუხლის შესაბამისად, დანაშაული ისევეა 16 წლიდან უვადო პატიმრობით.  
 — რაში ხელდაეხმარება, შესაძლებელია თუ არა მსგავსი შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა?  
 — ვეროკავშირის გენდრული თანასწორობის რეგონული პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს მოძალადეთა ქვეყნის კორექციის პროგრამების დანერგვა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით. ამ ეტაპზე, ჩვენ, ჩვენი მხირი შესაძლებლობებით, ვეუზმობთ პროგრამის განხორციელებისთვის ეს პროგრამები აპრობირებულია ევროპაში, პროგრამის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, შექცარდება ძალადობა და საქმე ფემციდამდე არ მივა.

— ამ ეტაპზე რა მიმართულებით მუშაობთ?  
 — ჩვენი საქმიანობის სფერო ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვაა, შესაბამისად, ამ მიმართულებით ვმუშაობთ, საჭიროების შემთხვევაში ვუწვევთ დახმარებას ცვლას, ვინც მოგვმართავს, ვაგრძელებთ შეხვედრებს ახალგაზრდებთან, მშობლებთან, გვაქვს მათთან როგორც პირდაპირი კომუნიკაცია, ასევე შეხვედრები დისტანციურ რეჟიმში. მუხედავად იმისა, აქვს თუ არა ორგანიზაციას დაფინანსება (გრანტი) გარკვეულ ეტაპზე, ჩვენ საქმიანობას არ ვწყვეტთ, ეს ჩვენი მოქალაქეობრივი პოზიციაა. , თუმცა, როდესაც პროექტი დაფინანსებულია, მის განხორციელების არაფერი დიდა და ბენეფიციართა რაოდენობაც მეტია. გამოსავალი კი, როგორც ვითხარით, განათლებაა.

ესაუბრა ნუზუარ ასათიანი

## 1600 წლის გზასაყარზე უმეღბარი აბიობრაფიული კეგლი



პირველი ქართული ორიგინალური ნაწარმოები - იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ თხუთმეტსაუკუნეზე მეტხნოვანი მწერლობის ბრწყინვალე თავფურცელია. ამ საუკუნეების მანძილზე ბევრი კარგი და ბევრი ცუდიც იწვინა მრავალჭირნახადმა ქართლმა, ისტორიულმა კაცაკლიზმებმა ბევრი ქმნილება შეიწირა, დაიკარგა და განადგურდა, მხოლოდ უძველესმა აგიოგრაფიულმა მოთხრობამ გაუძლო დროის გამოცდას. ის არამხოლოდ გადარჩა, თანდათან შეიმატა ელვარება, ავტორს კი ვეშმარობთ დიდოსტატი ვეწოდებ. მართალია, სხვადასხვა ეპოქის თაობა ახლებურად კითხულობდა ამ დიდებულ ნაწარმოებს, მაგრამ უცვლელი დარჩა ერთი რამ, აღფრთოვანება იაკობ ხუცესის მხატვრული ოსტატობის, მისი თხრობისა და ხასიათის ძერწვის გასაოცარი ხელოვნების მიმართ.

ფუტკარაძემ მხატვრულად წაიკითხეს ამ ნაწარმოებით შთაგონებული ანა კალანდაძის, რევაზ ართილაყვასა და ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსები. განსაკუთრებული ემოციური და ექსპრესიული იყო ლუკა ფუტკარაძის მიერ წაკითხული თ. ელიაშვილის „ღვთის განაჩენი“..  
 ღონისძიების დასაწყისსა და დასასრულს ამავე კლასის მოსწავლეებმა ლიკა ზომერიკმა და დიანა ზოიძემ წაკითხეს ლოცვები. ბოლოს სალონის ხელმძღვანელმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა რუსუდან ცეცხლაძემ ისაუბრა მოსწავლეების მზაობაზე, მათ დიდ ინტერესებზე მსგავსი ტიპის ღონისძიებების მიმართ და გამოთქვა სურვილი კონფერენციის მეორე ეტაპის გაგრძელების საჭიროების შესახებ, სადაც განიხილავენ სხვა, მომდევნო ეპოქების პროგრამულ ნაწარმოებებს, შესაბამისად, მოსწავლეთა ჩართულობაც გაიზრდება...  
 სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის დასასრულს კონფერენციის გარშემო თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს: სოფლის მაკურიტარმა დეპუტატმა დავით ჭანელიძემ, ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელმა ვეფხვია სინუაშვილმა და გახეთ „ალიონის“ რედაქტორმა ნუზარ ასათიანმა.

ახალ თაობას განსაკუთრებით უყვარს და აცნობიერებს, „შუშანიკის წამება“, და მასში თავმოყრილ პრობლემატიკას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ამაში დავკარწმუნა შრომის საჯარო სკოლის ლიტერატურულ სალონ „ივერიის“, წევრების მიერ ჩატარებულმა მოსწავლეთა სასწავლო -



## „ჩვენს და პატარებს შორის არის ჯაჭვი, რომლის გაწყვეტის უფლება არ გვაქვს“

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი ერთ-ერთი წარმატებული თეატრია საქართველოში, რომლის წინაპრობა კარგი კოლექტივაა. ისინი არა მარტო კარგ სექტაკლებს უწვენენ ბავშვებს, რესპუბლიკური თუ საერთაშორისო ფესტივალებზე იმარჯვენენ, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აქტიურობენ და ქვემოქმედნი არიან. გასულ კვირას სექტაკლის „და ჯამაზი და წრწუნა მიციკი“ დასრულების შემდეგ თეატრში მოღვაწე მსახიობ ქალბატონებს შევხვდით:  
 მარი ქლიფთარი: — გაზაფხულის შემობრძანებას ვლოცავთ. დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს ვულოცავ ყველა დღას, ქალს, რადგან პირველ რიგში ვარ დედა, შეილი, მეუღლე და მეგობარი.  
 14 წელია ვმუშაობ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მყურებელთა პროფესიულ თეატრში, რომელიც ჩემთვის მეორე ოჯახია. ძალიან მიყვარს ბავშვები, აღბათ ეს არის ფაქტორი იმისა, რომ კარგად გამოძის მათთან ურთიერთობა და ამიტომაც ავირჩიე მსახიობის პროფესია. ამში ოჯახსაც რომ არ შეეწყო ხელი, დღეს ვერ ვიქნებოდი ჩამოყალიბებული ჩემს სფეროში.  
 მუხედავად ანაზაურების ოფენობისა, დამოუკიდებლად ვაკეთებ ქვემოქმედებას. ეს არის ტრადიცია და მას სახალწლო და სხვა დღესასწაულებზე ვაკეთებთ. ვეხმარებით მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახებს — ერთმანეთის დახმარებით ხომ ყველა სირთულის დაძლევა შეძლებთ.  
 მინდა შევეხო თუ რა როლს პირობებში ვვიწვევს მუშაობა. მეორე დარბაზის გამო, მშობლების ბავშვის სახლში დაბრუნება უწევს. ეს ძალიან მოქმედებს ჩვენზე.  
 თუკი გვეწება კარგი გარემო, დიდი დარბაზი იმისათვის, რომ არც ერთი ბავშვი სახლში ვუღალავს, რომელიც არ წავიდეს, რადგან ისინი ყველაზე საუკეთესოს იმსახურებენ.  
 ელენე კვარაცელია: — თეატრი გაძლევს შესაძლებლობას,



რომ დაუსრულებლად გაზარდო შენი შემოქმედებითი პოტენციალი. ჩვენს და იმ პატარა მყურებლებს შორის არის ჯაჭვი, რომლის გაწყვეტის უფლება არ გვაქვს. ყოველი სექტაკლის წინ, ისე ვწეროვლობ, რომ მეონა, სკაა გული „გამსკდება“ და მოგვდება, მაგრამ ეს სრულდება, როგორც კი სცენაზე გადისარ და ვისმის შეხხილება: „არა,“ „იქით წვიდა,“ „ხელი არ ახლო“ და ა.შ. ეს არის ის მუხტი და ძალა, რაც გაძლევს საშუალებას, არ გაჩრდებუ.  
 მარი ილაპარაკა და მეც ვიტყვი, რომ 32-ადგილიანი დარბაზი ჩვენი მუნიციპალიტეტის ბავშვების სურვილს, დაესწრონ სექტაკლებს, არ აკმაყოფილებს.  
 მუხედავად მიღვას ოჯახი მზარში: მეუღლე, 12 წლის მერაბი და 4 წლის ნაცა, რომელსაც ძალიან მოსწონს ჩვენი თოჯინური სექტაკლები.  
 მე ვარ ძლიერი ქალი და ვამყობ აბით!  
 ნინო გავუა: — დავამთავრე მედა ჩასვას სახელობის კინოსა და თეატრის აკადემია და 13 წელია ოზურგეთის თოჯინების თეატრის სცენაზე ვვგავარ. მომავალი თაობის ბავშვობის გალამაზებას, შემეცნებით აღზრდას ვემსახურები. ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო პატარა მყურებლის გულწრფელი ემოცია და აპლოდიმენტია, რაც სტიმულს მძლევს მეტად დაინარჯო სცენაზე. ნორჩ მყურებელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, რაც ძალიან მხარებს, მაგრამ დარბაზის პრობლემა გვაქვს.

დაწყებულია ახალი დარბაზის სარემონტო სამუშაოები, რომლის დასრულებას უკვე 2 წელია ველოდებით. მისი დასრულების შემდეგ შევძლებთ სრულფასოვან გარემოში ვუმსახიობლოთ პატარა მყურებლებს და სექტაკლებს ხარისხი ადარ დაეკარგება.  
 მყავს მეუღლე და ორი შეილი. ისინი ჩემ ყველაზე დიდი გულშემოტკიცებები არიან. ძალიან როლია ერთმანეთის შეუთავსო პროფესია და ოჯახი, მაგრამ ორთავე პერიოდში მნიშვნელოვანია ჩემთვის და ვცდილობ სირთულეების მოუხედავად ორივეს გაეაროვა თავი.  
 ჩემი აზრით, ყველა ადამიანი მაქსიმალურად რეალიზებული უნდა იყოსროცა შენი საქმე ვიყვარს, ყველაფერს შეძლებ.  
 ქეთევან კობლაძე: — ჩონატაურში დავიბადე და გავიზარდე. ვარ დოკუმენტალური და ამჟამად ვცხოვრობ ოზურგეთში. მყავს ორი მცირეწლოვანი შეილი — 4 წლის ივილიტა და ერთი წლის თამარი.  
 პრიფესიით მსახიობი ვარ და ვმუშაობს ოზურგეთის თეატრში. ძალიან მიყვარს ჩემი თეატრი, ის როლები, რომლებიც მე შევასრულე. ისევე როგორც ჩემს შეილებს, ვცდილობ თეატრში მოსულ ბავშვებს ჩვენი როლებით შევასწავლოთ და დავანახოთ რა არის კარგი და რა არის ცუდი, რა სიკეთე და რა არის ბოროტება. ვასწავლით, რომ სიკეთე ყოველთვის იმარჯვენებს ბოროტზე. ამის საშუალებას თეატრის მდიდარი რეპერტუარიც იძლევა.

# ამა ამბავი ილიას ორი საახალწლო წერილისა და ექვთიმე თაყაიშვილთან ურთიერთობებისა



რამდენადაც ვიცი, ექვთიმე-ლეთისკაცი სასამართლოს ამბავს, ყოველ შემთხვევაში „მოგონებებში“ აღარ დაბრუნებია...

ფინალი გაინტერესებთ?

ახლავე...

„მატიანეს“ უნდა დაუბრუნდე და „ვთქვა“: „საკითხის განხილვის შემდეგ იღებენ განჩინებას, რომლის მიხედვითაც ასკენიან, რომ თელო ჟორდანიამ თავად ათხოვა ექვთიმე თაყაიშვილს რვეული და გულმავიწყობის გამო დასდო ბრალი. მხარეებს ურჩევნ მშვიდობიან მორიგებას“.

მორიგდნენ?

აბა, ამ კითხვის დასმა შეიძლება?!

„კალენდარზე“ 1892 5 მაისია. ილია „თავმჯდომარეობს ქმწ-კვ საზოგადოების სხდომას, რომელზეც სკოლების შესამოწმებლად ინიშნებიან რევიზორები: ნიკოლოზ მთვარელიშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსი ჭიჭინაძე და ექვთიმე თაყაიშვილი...“.

თქმა არ უნდა თუ როგორ შეამოწმებდნენ სკოლებს ღრმად პატივცემული რევიზორები!

აქვე ვთქვათ, იმავე წლის 26 მაისს „სხვადასხვა სკოლაში სარევიზიოდ იგზავნიებიან ალექსი ჭიჭინაძე და ექვთიმე თაყაიშვილი“.

„მატიანეს“ კალენდრით 1893 წლის, რომ არ ვიცი თვე და რიცხვია, ილია „ესწერება ექვთიმე თაყაიშვილისა და თავის ყრობის-დროინდელ მეგობარ ივანე პოლტარაცკის ქალიშვილის – ნინოს ქორწილს“.

ივანე პოლტარაცკი ცოცხალი აღარაა... და რომ იყოს?!

ამ კითხვას მეტად ორიგინალურად უპასუხა კინორეჟისორმა ვიორგი შენგელაიძემ... კინო-ფილმით არა...

აკი, ვითხარით, მეტად ორიგინალურად! ჰოდა, ვისაც ჯერ არ უნახავს ვილოცავთ! იპოვეთ და აუცილებლად მოუსმინეთ და ნახეთ!

„მატიანეს“ კალენდრით უკვე 1897 წელია.

ილია, არც მეტი, არც ნაკლები 60 წლისაა!

მიუხედავად ბევრი მცდელობისა... ილიას იუბილეს ჩატარება ჭიანჭურდება და ჭიანჭურდება...

რომ იტყვან არც საშველი ჩანს და არც სახიდელები...

და მაინც... გამოჩნდა!

„ილია ჭავჭავაძის იუბილეს გაჭიანჭურების გამო ექვთიმე თაყაიშვილი გადაწყვეტს თბილისის გიმნაზიაში მაინც აღნიშნოს მისი მოღვაწეობის 40 წლისთავი.“

იუბილარი უარზე რომ არ დადგეს, წინასწარ არაფერს ეუბნება და, უბრალოდ, იწვევს გიმნაზიაში. შენობასთან მიხუთს გუნდი ეგებება „მრავალუკამიერით“, შემდეგ კი იმართება კონცერტი. მოსწავლე ირაკლი ბაზაძე ზეპირად კითხულობს ადგილებს „კაცია-ადამიანი-იდან“; მუსიკალურ განყოფილებას ხელმძღვანელობს ზაქარია ფალიაშვილი, ასრულებენ ილია ჭავჭავაძის ლექსზე დაწერილ სიმღერას „ჩემო კარგო ქვეყანავ“. პოეტზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ახალგაზრდა ვანო სარაჯიშვილის ხმა და სიმღერის ბოლო ფრაზაზე: „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია“, ცრემლს ვერ იკავებს: „...“

ლიახ, ღიახ...

ჩემი აზრით მსგავსის მოფიქრება და მოფიქრებულის ასე, რომ იტყვია, გემრიელი განხორციელება ბევრს ვერა, მცირეთაგანიდან ექვთიმე თაყაიშვილსაც შეეძლო!

ბატონ ექვთიმეს, რომ მოეუხმინოთ, სწორედ ის დროა და როგორც იტყვიან, „მეც მეტი არაფერი დამრჩენია“ „მოგონებიდან“ რამდენიმე აბზაცი „დავაკაბო“-„დავაპიესტო“:

„შემდეგ რიგი მიდგა (ილიას იუბილეს ჩატარებისპერიპეტიაამდე „მოგონებების“ ავტორი რაფიელ ერისთავის იუბილეზე საუბრობს) თვით ილიაზედაც, მაგრამ იგი, თავისი ჩვეულებისამებრ, თავმდაბლობდა; უარზე იყო და თან ამბობდა, „ეს იუბილე ერთგვარი ყენობა არისო“. მაგრამ კი ეტყობოდა, რომ ბოლოს და ბოლოს დათანხმდებოდა. ასე იცოდა ხოლმე ბანკის არჩევნების დროსაც: ჯერ იტყოდა, აღარ შემიძლია, ვეღარ გავუძღვებო, მაგრამ როცა აირჩევდნენ, უკვე აღარაფერს ამბობდა... საჩუქრების შეგროვებაც კი დაიწყეს და ზოგ საჩუქარს წინასწარ გზავნიდნენ ილიას გაზეთის რედაქციაში. კომისიაც იყო შემდგარი, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო მას ამ იუბილის მოწყობისა. არ ვიცი, ოფიციალურად მოსწერეს უარი თუ წინასწარ, მოლაპარაკებისა გააფრთხილეს საიუბილეო კომისია (ვინ ხელმძღვანელობდა, აღარ მახსოვს), მაგრამ უთხრეს კი, სჯობს, ნუ ითხოვთ, რადგან უსათუოდ უარს მიიღებთ.“

იმხანად მე სათავადაზნაურო სკოლას განვაგებდი და იქ წესად მქონდა შემოღებული გამართვა სალიტერატურო საღამოებისა, რომელზედაც სკოლის შეგირდები ჩვენი პოეტების ლექსებსა თუ პროზას კითხულობდნენ და თან სხვადასხვა საკრავებს – ვიოლინოს, ვიოლონჩელოს და სხვ. – უკრავდნენ (შემდეგ მინდა ზოგი რამ მოვიკონო იქაური მუსიკის მასწავლებლების, ზაქარია ფალიაშვილისა და ჩენი ვიოლონჩელისტის პოლიკას შესახებაც). ჩვენ საღამოებს ესწრებოდა თბილისის თითქმის მთელი ქართველობა და ისინი ყოველმხრივ დიდ მოწონებაში იყვნენ. ასეთი საღამოების მოწყობა მარტო პედაგოგიური საბჭოს თაოსნობით იყო და ამაში სრულიად არ ერეოდნენ (არც რასმე ვეკითხებოდი) სასკოლო კომიტეტის წევრები: მათ მხოლოდ ბარათებს ვუგზავნიდით და სტუმრებად ვიწვევდით.

განვიზრახე, ერთი ასეთი საღამო სვანებოდა მოვეწყო ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად და პროგრამაში შეგვეტანა უმთავრესად მისი ლექსები და სხვა ნაწარმოებები. მაგრამ განზრახვა საიდუმლოდ შევინახეთ: არც კომიტეტის წევრებისათვის გვიცნობებია და არც თვით ილიასათვის, რომ საღამო მისდამი იქნებოდა მიძღვნილი. საქმე ის იყო, რომ ვისიმე პატივსაცემი სალიტერატურო საღამოს მოწყობის ოფიციალური

ნებართვა არა გვექონდა, – იგი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის უნდა გვეთხოვა. ილიასათვის რომ გავგეგმილა ნამდვილი მიზანი, შეიძლება არც დასწრებოდა საღამოს და არც დაერთო ნება ასეთი საღამოს მოწყობისა სიფრთხილის გამო. კომიტეტისათვის რომ გავგეზიარებინა ჩვენი განზრახვა, მაშინ იგი საიდუმლოდ ვეღარ შეინახებოდა, – ყოველ შემთხვევაში, ნიკო ცხვედაძე მაინც გაუმჟღავნებდა ილიას. ისე კი, რა თქმა უნდა, კომიტეტის ყველა წევრი მოვიწიეთ სტუმრად. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი იყო მარიამ ვახტანგის (პოეტის, ჯამბაკურ-ორბელიანის) ასული, საშვიკ ორბელიანის მეუღლე (ამ ორმა ორბელიანმა შეუღლებით თავ-თავიანთ მამულები შეაერთეს)... რა თქმა უნდა, მარიამსაც გაუუგზავნეთ მოსაწვევი წერილი, მაგრამ მან მომწერა, სამწუხაროდ ვერ დავესწრები, რადგან შეუძლოდა ვარო. მერე კი, როცა შეიტყო, რომ ილია დაგვესწრო და საერთოდ ის საღამო ილიას პატივსაცემად იყო მოწყობილი და საუცხოვოდაც ჩატარდა, მომწერა, ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემატყობინე, თუ ილიას პატივსაცემი საღამო იყო, თორემ უსათუოდ მოვიდოდიო. ამით აშკარა გახდა, რომ მისი „შეუძლებლობა“ დიაბოლმატიური მიზეზი ყოფილიყო.

საღამომ მეტად კარგად ჩაიარა. ბავშვები შესანიშნავად იყვნენ მომზადებული: მშვენიერი დეკლამაციით, ნამდვილი არტისტული ხელოვნებით კითხულობდნენ ილიას ლექსებს და ადგილებს მისი პოემებიდან – მაგ., „განდევილიდან“, „კაცია-ადამიანიდან“, „გლახის ნამბობიდან“, „ოთარაანთ ქვრივიდან“ და სხვა თხზულებებიდან. ამასთანავე, რა თქმა უნდა, სხვა მწერალთა ნაწარმოებებიც საკმაოდ იყო შეტანილი პროგრამაში.

ილია მეტისმეტად მხიარული და კმაყოფილი იყო. არა ერთხელ გამოთქვა აზრი: „მხოლოდ დღეს ვიპოვენი, რომ რაღაც დამიფრიალო; მაგრამ ჩემს დღეში ვერ ვარამოვიღებნდი, თუ ამ ახალგაზრდებს შემეძლოდათ ასე საოცრად შემეხროთ და შემთხვისპირადაც ის, რაც მე მიმთხვამსო“.

საღამო რომ გათავდა, ილია, მისი მეგობრები და ზოგი სხვა ჩვენი ინტელიგენტი მივიწვიე მცირე სერობაზე, გიმნაზიის შენობაშივე, დიდ საკონცერტო დარბაზში. სერობაც ძალიან მხიარულად ჩატარდა.

უნდა ითქვას, რომ ილიას ვერ ჰქონდა მაინცდამაინც კარგი აზრი სათავადაზნაურო სკოლის პერსონალის შესახებ – მეტადრე ჩემი წინა მოადგილის ალექსი ჭიჭინაძის გამგეობის დროს. მას ჩავიანხე... რომ ყველა იქაური მასწავლებლები „მანაბელისტები“ და ილიას მოწინააღმდეგეები არიან (საერთოდ ზოგიერთს... ახასიათებდა ნეპოტიზმი და ამასთანავე უკიდურესი უნდობლობა იმერლობისადმი). ნამდვილად კი ყველა მასწავლებელს, ერთის გარდა, ნეიტრალური პოზიცია ეჭირა: არც ილიას წინააღმდეგნი იყვნენ და არც მანაბლისა.

ის ერთი კი, მოსამზადებელი კლასის პირველი განყოფილების მასწავლებელი ალექსანდრე ნათაძე მართლაც თვალსაჩინო მომხრე იყო მანაბლისა და არც მალავდა ამას, სოფლებში პროპაგანდას ეწეოდა მანაბლის სასარგებლოდ. მანაბლის წინააღმდეგ მიმართულ ერთ თავის სიტყვაში ილიამ ეს მოვლენა, ერთი კაცის მიქმედება სკოლის მთელ მასწავლებლობას მოახვია ორატორულად თავს და განაცხადა, „პროპაგანდაში ჩვენი სკოლის ოსტატებიც ჩაებნენო“. ბანკის იმ კრებაზე მასწავ-



ლებელთაგან მხოლოდ ჯაჯანაშვილი იყო წამოდგა და ჰკითხა ორატორს:

„მეც ამ სკოლის მასწავლებელი ვარ და მაშ, თქვენი აზრით, მეც ვეწვი თქვენ წინააღმდეგ პროპაგანდასაო?“ ილიამ უპასუხა, „არა, თქვენ არაო!“ რა თქმა უნდა, სკოლის ადმინისტრაცია ვერ აუერძალავდა რომელიმე მასწავლებელს, ესა თუ ის აზრი ჰქონოდა საზოგადო საქმეთა მიმართ... ასეთი ეჭვი და უნდობლობა ილიას, ეტყობა, დიდხანს შერჩა. თუმცა, 1904 წელს რომ ამირჩიეს სათავადაზნაურო სკოლის გამგედ, ილიას „ივერია“-ში დავით მიქელაძემ („მეველე“) მეთაური წერილი მიძღვნა, ქება შემასხა და, სხვათა შორის, ისიც მოიხსენია, რომ „ბანკოვიადის“ დროს ნეიტრალიტეტს ვიცავდი.

რაკი ილიამ არ იცოდა, რომ ის სალიტერატურო საღამო ჩვენი პედაგოგიური საბჭოს მიერ მის პატივსაცემად იყო გამართული, იფიქრა, რომ ეს მისი მეგობრის ნიკო ცხვედაძის თაოსნობა იქნებოდა და სერობისას მას შეასხა ქება თავის სიტყვაში. ნიკოს კი არ უთქვამს... საღამოს გამართვაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო...


მაგრამ იმ საღამოს მოწყობის ნამდვილი გარემოება ელენე ჯაბადარმა, რა თქმა უნდა, აუწყა ილიას. ასე ეთქვა:

**Однако Вы впросакпопали! Всё было устроено поинициативе и засчёт учительского совета гимназии и её директора, а Вы обявили благодарность Цхведадзе**

ილიას, ცხადია, დიდად სწყენოდა ეს ამბავი და საყვედური ეთქვა ელენე ჯაბადარისათვის: „შენ რაღად დამიმალე ნამდვილი გარემოება და ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რად ჩამაგდეო?“ შემდეგ, პირადად რომ შეეხვდი, ილიამ დიდად მომიბოდიშა და თან დასძინა: „დამიჯერებ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მე რომ იმ საღამოს სიამოვნება განვიცადე, ჩემ დღეში არ განვიცადია და ვერც ვარამოვებინა, თუ ისე კარგად შემძლედა ახალგაზრდობა ჩემ ნაწარმოებთა გაგზავნასო. მიხლოდა ფერილობით შემოამთვალა თქვენთვის მაღლობა ამ პატივისცემისათვის, რომელიც მე არასოდეს დავაპოვებუბა, მაგრამ მოვპირდებ, რომ არ გააშლავნებუბიყო და რაიმე უსიამოვნება არ შემეხროდათო“.



# ავტობიოგრაფიული მოძრაობა 1905-1906 წლებში



ახსტანა გურული  
საპარტიზალო  
სრულუფლებიანი  
დამოუკიდებელი  
სახალგახოვანი (1918)

საქართველოში ორი კათოლიკოსი იყო – აფხაზეთის (იგულისხმება ლიხთი მერეთისა და აფხაზეთის საკათალიკოსო – ვ.გ.) და მცხეთისა. თუ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიას მანიჭებდნენ, გარკვეული გახდებოდა არაქართული სამრევლოების ბედიც. დეკანოზ ვოსტორგოვისათვის მიუღებელი იყო არაქართული სამრევლოების (იგულისხმება არაქართული მართლმადიდებლები – ვ.გ.) საქართველოს ეკლესიის ორისიდიკანში შესვლა. ყარსის ოლქში 70-მდე ბერძნული სამრევლო იყო, თბილისის გუბერნიამ – 15. რუსეთთან შეერთების შემდეგ ბერძნები გადასახლდნენ რუსეთში, ამიტომ დეკანოზი ვოსტორგოვი არწმუნებოდა, რომ ისინი არა საქართველოს, არამედ რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ.

აზერადაც მოაპსუენ ეპისკოპოსი კირიონი იყო. ქართველმა მღვდელმთავარმა დამსწრეთ აუხსნა, რომ საქართველოს ეკლესია უნდა აღდგენილიყო იმ საზღვრებში, რომელიც მას რუსეთთან შეერთებამდე ჰქონდა და როცა საქართველოს ეკლესიის მწყემსთაგარი იყო მცხეთის კათოლიკოს-პატრიარქი. ქართველი მღვდელმთავარი თვლიდა, რომ საქართველოს საკათოლიკოსოს ორისიდიკანში უნდა შესულიყვნენ არა მარტო ქართველები, არამედ სხვა ერების მართლმადიდებლებიც, რადგან ისინი საქართველოში მონათლენ მართლმადიდებლებად და ცხოვრობდნენ საქართველოს მიწაზე.

სხდომას დასასრულს უახლოვდებოდა, თუცა საბოლოო გადაწყვეტილება ისევ უცნობი იყო. მეორე განყოფილების სხდომების თავმჯდომარემ არქიპისკოპოსმა ნიკანდრმა საბოლოოდ ასეთი განაჩენი გამოიტანა: "ჩვენ მოვისმინეთ ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენება და ვერაზარი საფუძველი ავტოკეფალიისათვის ვერვგრობით ვერ ვპოვებ." პროფესორ პაველ მანსუროვისათვის კი საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მნიშვნელობის კანონიერების დამადასტურებელი სხვა რამე საფუძველი ვერვგრობით არ არსებობდა და არც მომავალში იარსებებდა.

არქი ეპისკოპოსმა ნიკანდრმა სხდომას დასრულად გამოაცხადა. განყოფილების საქმიანობა კი შემოღობამდე შეწყდა. საბოლოო სიტყვა ეპისკოპოსმა კირიონმა წარმოთქვა. უფრო ზუსტად კი, მან წაითხა წინასწარ მომზადებული მოხსენება. ეს იყო ყოვლადსამღვდელო კირიონის მიერ დაწერილი ოთხი მოხსენებიდან მესამე. სხდომის მონაწილეები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ მოხსენება მართლაც მნიშვნელოვანი იყო და განსაკუთრებულ

ყურადღებას იმსახურებდა. მიუხედავად ასეთი აღიარებისა, რუსები მიიჩნევდნენ, რომ ეპისკოპოსი კირიონის მოხსენება მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ვერ შეცვლიდა.

**ქართველ მეცნიერთა დეაწლი რუსეთის საეკლესიო კრების წინაშე თათბირის მეორე განყოფილების სხდომებზე.** მეორე განყოფილებას კვლავ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა უნდა გაგრძელებინა.

**1906 წლის 17 ნოემბრის სხდომა.** 1906 წლის 17 ნოემბერს მუშაობა გააგრძელა რუსეთის საეკლესიო კრების წინაშე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ), რომელზედაც კვლავ საქართველოს ეკლესიის სტატუსის საკითხი; უნდა განხილიყო. კრება გაიხსნა დილის 7 საათზე მთავარეპისკოპოსი ნიკანდრის (ნიკოლაი ფენომენოვის) თავმჯდომარეობით. სხდომას ესწრებოდნენ: ყოვლადსამღვდელო სტეპანი (არხანგელსკი) – მოგილიოვის ეპისკოპოსი, ლეონიდი (ოქროპარიძე) – იმერეთის ეპისკოპოსი, დეკანოზები: ტიმოფეი ბუტკევიჩი, ფიოდორ ტიტოვი, ივან ვოსტორგოვი, ა. პ. მალცევი, ი. ა. კოიალოვინი, პროფესორები: ილია ბერდნიკოვი, მიხაილ ოსტროუმოვი, ნიკოლაი ზაოზერსკი, ალექსანდრ ალმაზოვი, ნიკოლაი გლუბოკოვსკი, ივან სოკოლოვი, ალექსანდრ პრილიანტოვინიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი და ვ. პ. შენი.

1906 წლის 17 ნოემბრის სხდომას უნდა განეხილა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. სხდომამ მონაწილეობის მისაღებად, როგორც მიუთითო, მიწვეულნი იყვნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორები ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი.

კრების გახსნის შემდეგ არქიპისკოპოსმა ნიკანდრმა სხდომის მონაწილეებს აცნო, რომ განყოფილების მუშაობის პროცესს გამოკადდნენ: სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი და გორის ეპისკოპოსი ექვთიმე. უწმდეგი სინოდის განკარგულებით და უმაღლესი ხელისუფლების თანხმობით, საქართველოს ეპისკოპოსს მიეცა უფლება, თავისი არჩევანის საფუძველზე ქართველი ეპისკოპოსები ჩაენაცვლებინა სხვა მღვდელმთავრებით, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ სხდომის მუშაობის პროცესში. სწორედ ამის გამო მოწვეული იქნა უსამღვდელოესი ლეონიდი. ეპისკოპოსმა ლეონიდმა წერილობით მიმართა მიტროპოლიტ ანტონის (ვადაკოვსკის): „მეორე განყოფილების სხდომის მონაწილეთა შორის, სადაც საქართველოს ეკლესიის საკითხის განვიხილავთ, ვაძინებ, რომ სხდომას არ ესწრება რამდენიმე ადამანი, რომლებიც იცნობენ საქართველოს ეკლესიის ისტორიას და ეს გარემოება იწვევს სერი-

ოზულ სამშრობას, რომ საქართველოს ეკლესიის საკითხი დარჩება დაუმუშავებელი და მოუმზადებელი მომავალი სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებისთვის.“ უსამღვდელოესი ლეონიდის განცხადების საფუძველზე მთავარეპისკოპოს ნიკანდრის ეთხოვა, რომ სხდომის მსვლელობაში მონაწილეობის მისაღებად ხმის უფლებით მოეწვიათ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორები, ქართველი მეცნიერები ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი. ამ თხოვნასთან დაკავშირებით მიღებული იქნა რეზოლუცია. სხდომას გახსნა პროფესორმა ნიკოლაი გლუბოკოვსკიმ. მისი აზრით, თუ ქართველი მეცნიერები მონაწილეობას მიიღებდნენ რუსეთის საეკლესიო კრების მეორე განყოფილების მუშაობაში, მაშინ რუსებს უნდა მოეწვიათ პროფესორი ივან პალმოვი, რომელიც სლავური ეკლესიის ისტორიის სპეციალისტი იყო. რუსი პროფესორის აზრით, პალმოვის მონაწილეობა ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო: „მხოლოდ რუსეთის ამ ერთადერთ ავტორიტეტს შეუძლია, დოკუმენტურად ნათელი მოპოვინოს ყოველივეს და მე დარწმუნებული ვარ, რომ პროფესორი პალმოვი მოგვეცემს ჩვენ მრავალ დარიგებას, რომელიც შეიძლება გადაწყვეტიც კი აღმოჩნდეს ყველა ჩვენი საკითხისათვის“. ხმათა უმრავლესობამ სასურველად მიიჩნია პროფესორ პალმოვის მოწვევა. პროფესორმა ნიკოლაი გლუბოკოვსკიმ თავის გამოცხადებაში აღნიშნა, რომ მას მართლმადიდებლური საღმრთო ენციკლოპედიის შედგენის დროს არაერთხელ ბიუროკრატებს ქართველი სწავლულე-ბისათვის დახმარების მიზნით. საქართველოს ისტორიის შესახებ ცნობების შეგროვებაში ქართველებს თავიანთი ცოდნისა და განათლების გამოყენება შეუძლიათ, რითაც გარკვეულ წვლილს შეიტანდნენ ენციკლოპედიის გამოცემის საქმეში. მაგრამ არც ერთმა ქართველმა მეცნიერმა შეთავაზება არ მიიღო. პროფესორმა გლუბოკოვსკიმ აღნიშნა, რომ იგი ცდილობდა, ქართველი სტუდენტები, რომლებიც აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად იღვწოდნენ, საქართველოში წასულიყვნენ, რათა ქართულენოვანი წყაროები მოეძებნათ. მიუხედავად ამისა, ქართველები აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის დაწერას რუსული წყაროების გამოყენებით აძვობინებდნენ. პროფესორმა ისიც აღნიშნა, რომ რუსეთში არსებობდა ქართველოლოგიის კათედრა, პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში გაიხსნა ახალი კურსი საქართველოს ისტორიის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეცნიერების ამ დარგში სპეციალისტები მანც ნაკლებად იყვნენ. გლუბოკოვსკის აზრით, ქართველები ყოველივე ცუდს რუს ეგზარქოსებს სწამებდნენ. რუსებს დაბრალდათ ბიბლიის ცუდად გამოცემა, რაც ქართველების „დამსახურება“ იყო და არა რუსებისა. ნიკოლაი გლუბოკოვსკის თქმით, ქართველი ავტოკეფალიისტი ყოველ შემგნელ საქმეს რუსეთის ეკლესიის ხელმძღვანელობას მიაწვდნენ ხოლმე. ამიტომაც მას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა ქართველი მეცნიერების მოწვევა რუსეთის საეკლესიო კრების წინაშე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხის გაცემა ეპისკოპოს ლეონიდს მოუწია: „მე არც მივიჩნია აქ დამსწრე სწავლულების შეურაცხყოფა და თუ ასე გამოვთქვი აზრი ჩემს თხოვნაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიცი, აქ არაფერ არის, ვინც ქართულად წაითხავდა წყაროებს, ქართულად ვერ კითხულობს ვერც ი. ი. სოკოლოვი“. ცხადი იყო, რომ ეპისკოპოს ლეონიდს არ დაეთანხმებოდნენ რუსი მღვდელმთავრები და პროფესორები. პროფესორი ტიმოფეი ბუტკევიჩი გამოეხმაურა ქართველი ეპისკოპოსის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ ქართული წყაროების არცოდნა არ ნიშნავდა იმას, რომ რუსი მეცნიერები არაკომპეტენტური იყვნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცოდ-

ნის მხრივ. რუსი პროფესორის აზრით, თუ ამ ლოგიკით იმსჯელებდნენ, მაშინ აუცილებელი გახდებოდა არაბულის, სომხურისა და სხვა ერების ცოდნის მოთხოვნა მეორე განყოფილების სხდომაზე დამსწრე პირთათვის. ბუტკევიჩმა ასეთი კითხვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას: „თუ ქართული წყაროების ცოდნა ასე მნიშვნელოვანია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით, მაშინ რატომ მოჰყავს ეპისკოპოსი კირიონს უმთავრესი ფაქტი ავტოკეფალიის ისტორიისათვის არა ქართული წყაროდან, არამედ ლუნიოვის რუსული წიგნიდან (იგულისხმებოდა ნიკოლაი ლუნიოვის ნაშრომი, რომელიც ობიექტურად წარმოაჩენდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას – ვ. გ.)? ცხადია, რომ ქართულ ლიტერატურაში არაფერი ფასეული არ არის ამის შესახებ. თუ ქართველები რაიმეს მაღავენ, ეს მათ ღირსებაზე უარყოფითად მტკიცელებს.“

პოლემიკაში ჩაება ნიკო მარი. მან აღნიშნა, რომ არ მოელოდა, თუ ქართველი მეცნიერების მოწვევის ფაქტს შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ სხდომაზე მყოფი პირები. ნიკო მარმა ისაუბრა ქართული წყაროების მნიშვნელობაზე საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ. მისი თქმით, ეს საკითხი იყო წმინდა მეცნიერული და ქართველი სწავლულების მოწვევაც განპირობებული იყო იმით, რომ ისინი იყვნენ ქართული წყაროების მცოდნენი, მოწვეულინი საბოლოო ისტორიული საკითხების გასარკვევად. კამათი ქართული წყაროებისა და ქართული ენის ცოდნისთან დაკავშირებით კვლავ გაგრძელდა. ტიმოფეი ბუტკევიჩი და პროფესორი ნიკოლაი გლუბოკოვსკი პოზიციებს არ თმობდნენ. ბუტკევიჩის აზრით, თუ ასეთი მნიშვნელოვანი იყო ქართული ენის ცოდნა კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის გადასაწყვეტად, მაშინ ყველა ის ადამანი, ვინც ქართულს ვერ ფლობდა, სხდომას არ უნდა დასწრებოდა. კამათი კვლავ ნიკო მარი ჩაება. მან რუსებს ასეთი განმარტება მისცა: „უნდა განვაცხადო, რომ არა ქართველი, არამედ რუსი მეცნიერი ვარ, მაგრამ წარმომავლობით ქართველი. თუ ჩამოვლით მე ქართველ მეცნიერად მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული ენა ვიცი და ვსწავლობ ქართულ წყაროებს, მე ასევე ვფლობ არაბულ და სომხურ ენებს, ვიცნობ არაბულ და სომხურ ლიტერატურას, მაგრამ არც არაბი ვარ და არც სომხი.“ კამათი არ წყდებოდა. დეკანოზი ივან ვოსტორგოვი მოითხოვდა საქმის ბოლომდე მიყვანას და ეპისკოპოსი ლეონიდის თხოვნის სრულად განხილვას. მან აღნიშნა, რომ ეპისკოპოს ლეონიდის სათხოვარ ბარათში არაფერი იყო ნათქვამი ქართული წყაროების თაობაზე. მისი აზრით, ბარათში ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ სხდომას არ ესწრებოდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის მცოდნე პირები. ვოსტორგოვი ფიქრობდა, რომ ეპისკოპოსმა ლეონიდმა წინასწარ დაიხსნა თავი მისთვის არასასურველი გადაწყვეტილებისგან: თუ რუსეთის საეკლესიო კრების წინაშე თათბირის მეორე განყოფილება გამოიტანდა ისეთი დასკვნას, რომელიც არ იქნებოდა მისაღები ქართველი ეპისკოპოსისათვის, მაშინ მას შეეძლო არ დასთანხმებოდა სხდომის გადაწყვეტილებას. დეკანოზი ვოსტორგოვი თვლიდა, რომ უსამღვდელოესი ლეონიდი ასეთ შემთხვევაში განაცხადებდა, რომ კრებას არ ესწრებოდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის მცოდნე პირები. რუსმა დეკანოზმა ასეთი მოთხოვნა დააყენა ქართველი ეპისკოპოსის წინაშე: „მე ვისურვებდი, ეპისკოპოს ლეონიდს განეცხადებინა, რომ მის შეფასებას სხდომის წევრების კომპეტენციის შესახებ არ აქვს დიდი მნიშვნელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ან კრების დატოვება მოგვიწევს და საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ქართველი მეცნიერების საქმე იქნება, როგორც მათ ეპისკოპოსი ლეონიდი უწოდებს, ან უნდა ვისხედო ჩემად და ქართველ მეცნიერებთან ერთად დავიწყოთ

აზანიდან საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა“. ვოსტორგოვის საგებობით დაეთანხმა პროფესორი ივან სოკოლოვი. მისი აზრით, სიმართლეს არ შეეწვერებოდა ის ფაქტი, რომ სხდომას არ ესწრებოდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალისტები. სოკოლოვს მიაჩნდა, ამ საკითხის სპეციალისტები არ იყვნენ თავად საქართველოშიმდებარე, რამდენადაც საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა ახალი დაწყებული იყო და ძალიან დიდი დრო უნდა გასულიყო, რომ ამ სფეროში სპეციალისტების არსებობაზე ესაუბრაო. რუსმა პროფესორმა არ უარყო ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალისტს ქართული ენა უნდა სცოდნოდა. სოკოლოვმა სხდომაზე მყოფთ აცნო, რომ ის თავად სწავლობდა ქართულს და ეცნობოდა ქართულ სამეცნიერო წყაროებსაც, ასეთი წყაროები ასევე მრავლად არსებობდა სხვადასხვა ენაზე. კამათი ამ საკითხთან დაკავშირებით არ წყდებოდა. ამიტომაც ეპისკოპოსმა ლეონიდმა მათ კიდევ ერთხელ განუმარტა: „მე რომელიმე მეცნიერის თავმოყვარობის შეზღავნების არანაირი სურვილი არ მქონდა და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ პატრიარქს ვითხოვ“. ნიკოლაი გლუბოკოვსკის მიაჩნდა, რომ ქართველი ეპისკოპოსი პირად შეურაცხყოფას აცენებდა რუს მეცნიერებს, მაგრამ დრო იყო, საქმეზე გადასულიყვნენ. პროფესორმა ილია ბერდნიკოვმა დამსწრეთ შეახსენა, რომ საქართველოს ეკლესიის საკითხის გადასაწყვეტად მოხსენებების გაკეთება დედალებული ჰქონდათ პროფესორტიმოფეი ბუტკევიჩსა და პროფესორ ივან სოკოლოვს. თავის მხრივ, ალექსანდრე ცაგარელმაც შეახსენა დამსწრეთ, თუ რას ისახავდა მიზნად რუსეთის საეკლესიო კრების წინაშე თათბირი. მისი თქმით, თათბირის მიზანი იყო, ნადავგი მოემზადებინა რუსეთის მომავალი საეკლესიო კრებისათვის, რომელიც საბოლოოდ გადაწყვეტდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს. მეორე განყოფილება უნდა მოემზადებინა მასალა, რომელსაც დაყრდნობდა რუსეთის საეკლესიო კრება და გამოიტანდა შესაბამის გადაწყვეტილებას. საეკლესიო კრებას უნდა ჰქონოდა საჭირო ფაქტები და ცნობები საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და ავტოკეფალიის თაობაზე. ალექსანდრე ცაგარელმა სრული მზადყოფნა გამოთქვა, რომ ის მონაწილეობას მიიღებდა საჭირო ცნობების შეგროვებაში. ქართველმა მეცნიერმა ასეთი რამ შესთავაზა დამსწრეთ: „დაე, ი. ი. სოკოლოვმა, როგორც საქართველოს ისტორიის შესახებ ბერძნული წყაროების მცოდნე, წარადგინოს თავისი მოხსენება, რაზეც სხდომის დედალებით ის უკვე მუშაობს; ნიკო მარს, როგორც უბედესი ქართული წყაროების მცოდნე, დედალოს წარმოადგინოს მოხსენება ეკლესიის მმართველობის თაობაზე უბედესი დროიდან XVIII საუკუნემდე ამ წყაროებზე დაყრდნობით. XVIII საუკუნიდან მოხსენების წარდგენას მე ჩემს თავზე ავიღებ. რაც შეეხება უახლეს პერიოდს, 1801 წლიდან, ამას, ხელმისაწვდომ წყაროებზე დაყრდნობით, აუცილებლად ეპისკოპოსი ლეონიდი გააკეთებს. ამ შემთხვევაში საეკლესიო კრებას ექნება მასალა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის მეცნიერულად გაშუქებისათვის“. ქართველი მეცნიერის ამ წინადადებას უარყოფითად შეხედნენ რუსი პროფესორები. მათი აზრით, ასეთი წინადადება არ შეესაბამებოდა მეორე განყოფილების დანიშნულებას, რადგან ამ შემთხვევაში რუსი პროფესორების მიერ მომზადებული მოხსენებები დაკარგავდა მნიშვნელობას.

**ახსტანა გურული**  
(საქართველოს ახალი ისტორია, . 1801-1918) წიგნი 3; გვ: 505-508  
დასაწყისი იხ. „ალიონი“ №18-33, 2022 წ. № 3-4, 2023 წ.)  
(გამომცემი იმეპა)



**პირველი ქალბატონებო!**  
 უდიდესი პატივისცემით გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულს. გისურვებთ მშვიდობას, სიკეთეს და ბედნიერებას!

**ლავრენტი ბიგვაპა**  
 ოჯახითი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე



**უდიდესი პატივისცემით ვულოცავ ყველა ქალბატონს 8 მარტს, – ძალთა სამართაშორისო დღეს, ვუსურვებ თითოეულ მათგანს ბედნიერებას, მიზნებისა და შესაძლებლობების სრულად რეალიზებას.**

**გელა აროშიძე**  
 ოჯახითი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე



**გილოცავთ 8 მარტს – ძალთა სამართაშორისო დღეს. ამ დღეს ვულოცავ არაჩვეულოდ ოჯახითი თანხმობის მსახიობ ქალბატონებს, არაჩვეულოდ ვისთვისაც ღირსებულია ღირსების თანხმობის და თანხმობის იდეა**

**ვასო ჩიგოშიაძე**  
 ოჯახითი სახელმწიფო თანხმობის სახმამხრო ხელმძღვანელი



**პირველი ქალბატონებო!**  
 გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულს. გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, თქვენი მიზნებისა და შესაძლებლობების სრულად რეალიზებას. თითოეულ მათგანს ბედნიერებას და წარმატებას.

**პაატა კილაშაძე**  
 საკრებულოს სახმამხრო, საკრებულო, იურიდიული სამსახურისა და მთავრობის თავმჯდომარე



**სს „იმიდის“ ღირსებულ ულოცავს „იმიდის“ თანამშრომელ ქალბატონებს, ყველა ქალს დედისა და ძალთა სამართაშორისო დღეებს!**

**ოჯახითი ბავშვთა სამსახურის ცენტრი გილოცავთ დედის და ძალთა დღეს!**



**„ჩვენი ფიქრის, საუბრის კულმინაცია არის გამოფენა“**



**ალიონი.** პირველ მარტს, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოჯახითი თანამშრომელთა სახელობის ხელოვნების ცენტრის საგამოფენო დარბაზში, გაიხსნა ცნობილი ბათუმელი მხატვრების **ლუკა ბესელიას, დიანა თალაკვაძის** და **ირინა ტორონჯაძის** ჯგუფური გამოფენა.

– ჩვენი ცენტრის ერთერთი მთავარი მიმართულებაა რეგიონთაშორისი შემოქმედებითი ურთიერთობები. ეს გამოფენაც სწორედ ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება.

გამოფენის ავტორები თანამშრომელთა არტისტებში ცნობილი და გამორჩეული მხატვრები არიან. მათი

გამოფენები იმართება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც. მათი ნამუშევრები ხასიათდება ინდივიდუალური, გამომსახველობითი ხერხების მრავალფეროვნებით, თავისუფლებით ხაზსა და ფერში – აღნიშნა გამოფენის გახსნაზე ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძე**.

გამოფენას ესწრებოდნენ ადგილობრივი და მოწვეული სტუმრები ბათუმიდან. საზოგადოებას სიტყვით მიესალმნენ: აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილე **აკაკი ძნელაძე**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **რატი ჩიბურდანიძე**, ოჯახითი მუნიციპალიტეტის განათლების, კულ-

ტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის უფროსი **ლალი სიჭინავა**, თანამშრომელთა სახელობის ხელოვნების ცენტრის დირექტორი **ავთანდილ თავართქილაძე**, გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე **თამაზ დარჩია**, პალიტროსანი-მხატვარი **ვასტანგ მამეიშვილი**.

გამოფენის ოფიციალური გახსნის შემდეგ გაზეთი „ალიონი“ გამოფენის მონაწილე **ირინა ტორონჯაძეს** ესაუბრა:

– ოჯახითი თანამშრომელთა სახელობის ხელოვნების ცენტრთან კავშირი საკმაოდ ხანგრძლივია. მე პირადად ვმონაწილეობდი დაზვერვის გრაფიკის სიმპოზიუმში, რაც ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის, რადგან დაზვერვის ბეჭდვით მიღებული ფერი და ხარისხი მაინც მიუღწეველი რჩება ნებისმიერი სხვა ტექნიკისთვის. აქ იყვნენ სხვა მხატვრებიც და მაშინ დაიბადა ამ გამოფენის მოწყობის იდეა, რომელიც ოჯახითი მუნიციპალიტეტის განხორციელდა.

ჩემთვის ფიქრის, საუბრის კულმინაციაა გამოფენა, რომლითაც ჩვენ, მხატვრები ვესაუბრებით ადამიანებს. ეს როცა, სასიამოვნო გარემოში, გურიაში ხარ.

მე ვმუშაობ გრაფიკის, ფერწერის, კერამიკისა და დიზაინის დარგში. მეოთხედი საუკუნეა, ვმონაწილეობ

რესპუბლიკურ და საერთაშორისო პლენერებში (პოლონეთი, საფრანგეთი, თურქეთი); მქონდა პერსონალური გამოფენები საქართველოში, გერმანიაში (დრეზდენი), საფრანგეთში (პარიზი)... 8 წელია პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწევი ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში – გვითხრა მან.

ირინა ტორონჯაძე გამოფენის სხვა მონაწილეებზეც ვესაუბრა:

– ლუკა ბესელია თეატრის მხატვარია, ბათუმის ხელოვნების მუზეუმის დიზაინერი. მას ექვსი პერსონალური გამოფენა ჰქონდა საქართველოსა და უცხოეთში (ლონდონი, სტამბული, იზმირი); არის

მრავალი ჯგუფური გამოფენების და პლენერების მონაწილე (იტალია, პოლონეთი).

დიანა თალაკვაძე მხატვარ-მოდელოა, არის ოთხი პერსონალური და მრავალი ჯგუფური გამოფენის მონაწილე. ჩართული იყო საერთაშორისო პლენერებში (პოლონეთი, საფრანგეთი, თურქეთი). 25 წელია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ბათუმის სამხატვრო სკოლასა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის ასოცირებული პროფესორი.

გამოფენა ოჯახითი მუნიციპალიტეტში 20 მარტამდე გაგრძელდება.



მზე, +7+18 9 მარტი ხუთშაბათი	მზე, ღრუბლი +9+18 10 მარტი პარასკევი	მზე, ღრუბლი +7+15 11 მარტი შაბათი	მზე, ღრუბლი +10+17 12 მარტი კვირა	ღრუბლი +9+19 13 მარტი ორშაბათი	ღრუბლი +9+18 14 მარტი სამშაბათი	მზე, ღრუბლი +9+13 15 მარტი ოთხშაბათი
------------------------------------	--	---	---	--------------------------------------	---------------------------------------	--